

186
1973

საქართველოს
საბჭოთავო
საგარეო
აღმოსავლური
კავშირების
სამდივო



საქართველოს სსრ მთავრობის ღარგენიღებუთა კრებუნი

№ 2

მარტი — აპრილი

1973 წ.



საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1978 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კბ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რელიზაციის სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტნის“ გაუქმების შესახებ.
- 21. საქართველოს სსრ ზოგიერთ რაიონში განხორციელებული ჭანმრთელობის დაცვის სასოფლო რგოლის მართვის რეორგანიზაციის ცდის შედეგების შესახებ.
- 22. რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შრომისუნარიანი მოსახლეობის სეზონური მიგრაციისა და მისი შემცირების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

- 23. სოფლად მშენებლობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.
- 24. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 სექტემბრის № 688 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
- 25. ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის საკარანტინო მავნებლებთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ.
- 26. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი სახელმწიფო კომიტეტის—„საქკონსერვხილბოსტნის“ ორგანიზაციების, საწარმოებისა და ფუნქციების ეკავშირისათვის, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ.

ქ. მარტის ს.ს. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკის
პრეზიდიუმის
დადგენილება



27. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო საგარეულების ნაცვლად ახალი მიწების ათვისებისა და ხარჯების ანაზღაურების ნორმების შესახებ.
28. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ
29. ავტომოყვარული მძღოლის, მოტოციკლის, ან მოპედის მძღოლის მოწმობის მისაღებ გამოცდებზე იმ პირთა დაშვების აკრძალვის შესახებ, რომლებმაც დამოუკიდებლად გაიარეს სწავლების კურსი.
30. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 5 ივნისის № 453 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
31. რესპუბლიკური დაქვემდებარების საავტომობილო ტრანსპორტით და ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა უფასოდ მგზავრობის წესისა და პირობების შესახებ.
32. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების მე-7 პუნქტის შეცვლის შესახებ.
33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.
34. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 ივლისის № 369 დადგენილებით დამტკიცებული მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დებულების დამატების შესახებ.
35. „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
36. მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების დებულების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
37. სოფელ ოქროყინაში მიწათსარგებლობისა და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში დაშვებული დარღვევებისა და ამ სოფლის ტერიტორიის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ.
38. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ალექსანდრე ნიკოლოზის რეჟანიშვილის ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ.
39. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 9 თებერვლის № 84 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.

40. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 იანვრის № 47 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
41. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 მარტის № 137 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ.
42. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 ნოემბრის № 667 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ.
43. კოლმეურნეობებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველო-სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

20 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხელგოსტენაულის დაგ-ზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტნის“ გაუქმების შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ უკანასკნელ წლებში რესპუბლიკაში გარკვეული მუშაობა განხორციელდა ხილისა და ბოსტნეულის დამზადების გაუმჯობესებისათვის, სამრეწველო გადამუშავებისა და რეალიზაციისათვის, გაფართოვდა დამამზადებელი ბაზა, შეიქმნა ხილისა და ბოსტნეულის ვაჭრობის ქსელი და გადიდდა საკონსერვო პროდუქციის წარმოება.

ამავე დროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვხილბოსტნის“ საქმიანობაში არის მთელი რიგი არსებითი ნაკლოვანებანი.

როგორც მუშაობის პრაქტიკა ცხადყოფს, ერთ სისტემაში ვაჭრობის, დამზადებისა და მრეწველობის მართვის თავმოყრამ გამოიწვია დარგობრივი ხელმძღვანელობის დარღვევა.

ახალი ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის ვაჭრობა რესპუბლიკის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებში სრულიად არაადაპტაციულია ხორციელდება. სოფლის მეურნეობის პროდუქტების სახელმწიფო შესყიდვა ცუდად არის ორგანიზებული.

ხელმძღვანელობენ რა დარგობრივი სპეციალიზაციის პრინციპების შემდგომი სრულყოფის აუცილებლობით და ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, რეალიზაციისა და სამრეწველო გადამუშავების საქმის ძირეული გაუმჯობესების მიზნით, საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ გაუქმდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ხილბოსტნეულის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის სახელმწიფო კომიტეტი — „საქკონსერვხილბოსტნის“ და მისი ფუნქციები გადაეცეთ საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და საქართველოს სამომხმარებლო კოოპერაციას — ცეკავშირს.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ ერთი კვირის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს კვ ცენტრალურ კომიტეტს წინადადებანი საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსათვის, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირისათვის „საქკონსერვხილბოსტნის“ სახელმწიფო კომიტეტის ფუნქციების გადაცემასთან დაკავშირებულ ორგანიზაციულ და სტრუქტურულ საკითხებზე.

3. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 დეკემბრის № 747 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, გადამუშავებისა და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს „საქხილობოსტნეულის“ შექმნის შესახებ“ და 1965 წლის 7 მარტის № 138 დადგენილება „საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 22 დეკემბრის № 747 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
მ. შვიპარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 1 მარტი, № 120

21 საქართველოს სსრ ზოგირით რაიონში განხორციელებული ჯანმრთელობის დაცვის სასოფლო რგოლის მართვის რეორგანიზაციის ცდის შედეგების შესახებ

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავენ, რომ, ჯანმრთელობის დაცვის სასოფლო რგოლის მართვის რეორგანიზაციის ცდის ერთგვარი დადებითი შედეგის მიუხედავად, რაც რესპუბლიკის 19 სასოფლო რაიონში განხორციელდა საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 ივლისის № 446 და 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილებათა შესაბამისად, ამ ღონისძიებამ ვერ გააუმჯობესა მოსახლეობის სამედიცინო დახმარების ორგანიზაცია და ხარისხი იმ რაიონებთან შედარებით, სადაც არ განხორციელებულა აღნიშნული რეორგანიზაცია.

დამოუკიდებელ ქვედანაყოფებად — სტაციონარად და რაიონულ პოლიკლინიკად — ცენტრალური რაიონული საავადმყოფოს დაყოფამ უარყოფითად იმოქმედა სასოფლო სამკურნალო დაწესებულებათა მუშაობის საქმიანობისა და მემკვიდრეობითობის ერთიანობაზე.

გარდა ამისა, ჯანმრთელობის დაცვის მართვის შეცვლამ რაიონებში, სადაც ცდა მიმდინარეობდა, გამოიწვია ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობისა და ხელფასის ფონდის გადიდება.

არადამაკმაყოფილებლადაა გამოყენებული სასოფლო რაიონების სამკურნალო დაწესებულებათა საწოლების ფონდი.

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. მიღებულ იქნეს სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს წინადადება და დაევალოს საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

ტროს აღარ გააგრძელოს მომავალში ჯანმრთელობის დაცვის სასოფლო რეგონის მართვის რეორგანიზაციის ცდა და გააუქმოს ახალციხის, ახმეტის, გორის, გურჯაანის, ზესტაფონის, კასპის, მახარაძის, მაიაკოვსკის, მცხეთის, სამტრედიის, საჩხერის, თელავის, წითელწყაროს, წყალტუბოს, წულუკიძის, ხაშურის, თეთრი წყაროს, წალენჯიხისა და ცხაკაიას რაიონებში სამედიცინო გაერთიანებანი, ამასთან ამ რაიონების ცენტრალურ რაიონულ საავადმყოფოთა შტატები შეუსაბამოს არსებულ სტრუქტურას ჯანმრთელობის დაცვის ღონისძიებათა განსახორციელებლად აღნიშნული რაიონებისათვის დამტკიცებული მუშაკთა რაოდენობის, ხელფასის ფონდისა და საბიუჯეტო ასიგნებათა ფარგლებში.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 20 ივლისის № 446 დადგენილების მე-2, მე-3, მე-8 პუნქტები და მე-9 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 13 სექტემბრის № 504 დადგენილების მე-9 პუნქტი.

საქართველოს კვ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. შავარდნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 1 მარტი, № 125

22 რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შრომისუნარიანი მოსახლეობის საფონდური მიზრაცდობისა და მისი შემადგენლობის ღონისძიებათა შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენენ:

1. დაევალოს ახალქალაქის, წალკის, ბოგდანოვკის, დმანისის, ბოლნისის, ასპინძის, თეთრი წყაროსა და ახალციხის რაიონების პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს გააძლიერონ პარტიულ-ორგანიზაციული და პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობა კოლმეურნეთა და საბჭოთა მეურნეობების მუშათა შორის, უზრუნველყონ სოფლის ყველა მშრომელის ჩაბმა ხუთწლედის მესამე, გადამწყვეტი წლის დავალებათა შესრულებისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ადგილებზე ფართო, პრინციპული განხილვის საგანი გახადონ შრომის დისციპლინის უხეში დარღვევის, რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სამუშაოდ სოფლის მეურნეობის მუშაკის თვითნებური წასვლის ყოველი შემთხვევა, ამასთან მიიღონ კოლმეურნეობის წესდებით და შრომის კანონმდებლობით გათვალისწინებული მკაცრი ზომები.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტს პარტიის რაიკომებთან და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან ერთად ორი თვის ვადაში შეისწავლონ მუშახელის გამოყენების მდგომარეობა თითოეულ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში და დაადგინონ შრომისუნარიანი მუშაკთა (მამაკაცთა) რაოდენობა, რომლებიც შეიძლება გაუშვან სეზონურ სამუშაოებზე.

3. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა შესაბამის სამინისტროებთან და სამშენებლო ორგანიზაციებთან ერთად ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი დასახელებული რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ქარბი მუშახელის რესპუბლიკის ფარგლებში გამოყენების შესახებ.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ მეღიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ პარტიის რაიკომებთან და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებთან ერთად განახორციელონ ღონისძიებანი ნასვენ მიწების ასათვისებლად, მიწების, სათიბებისა და საძოვრების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, სარწყავი სავარგულეების გასაფართოებლად, რათა გადიდდეს მემცენარეობისა და მეცხოველეობის პროდუქციის წარმოება, გაძლიერდეს კოლმეურნეთა მატერიალური და ინტერესება, რაც მეცხრე ხუთწლედის გეგმით არის გათვალისწინებული.

5. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა მომავალ ხუთწლედში გაითვალისწინონ დაუსაქმებელი შრომისუნარიანი მოსახლეობის ფართოდ ჩაბმა საზოგადოებრივ წარმოებაში იმ გზით, რომ შექმნან რაიონებში რესპუბლიკის იმ ქალაქების მსხვილ სამრეწველო საწარმოთა ფილიალები, საამქროები და სახელოსნოები, რომლებიც მუშახელის დეფიციტს განიცდიან, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საკოლმეურნეობათშორისო ორგანიზაციების დამხმარე საწარმოები და სარეწები, რომლებიც ადგილობრივი ნედლეულით იმუშავენ.

6. დაევალოთ პარტიის რაიკომებს, მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს კოლმეურნეობათა გამგეობებთან და საბჭოთა მეურნეობების დირექციებთან, სასოფლო და სადაბო საბჭოების აღმასკომებთან, პირველადს პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პარტიულ, კომკავშირულ და კოლექტივების საერთო კრებებზე განიხილონ სეზონური მიგრაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა რგოლში შრომის დისციპლინის მდგომარეობის საკითხი, შეიმუშაონ და მიიღონ ამ კრებებზე კონკრეტული ღონისძიებანი შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

გავზავნილ იქნენ რაიონებში ამ კრებების მუშაობაში მონაწილეობის მიხედვით პარტიის თბილისისა და რუსთავის საქალაქო კომიტეტების პასუხისმგებელი მუშაკები, საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, რესპუბლიკური გაერთიანება „საქკოლმეურნეშენის“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელები, რათა ადგილებზე გადაჭრან სოფლის მოსახლეობის დასაქმების საკითხი ისეთი ბრივადების დაკომპლექტების გზით, რომლებიც გამოყენებულ იქნებიან დიდმნიშვნელოვან სამუშაოებზე შრომის ანაზღაურების აკორდული სისტემის მიხედვით.

7. საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სოფლის მეურნეობის განყოფილებამ გავზავნოს მიგრაციის რაიონებში მეცნიერ-ეკონომისტები, რათა ადგილებზე შეისწავლონ სოფლის მეურნეობის მდგომარეობა და შეიმუშაონ წინადადებანი მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის.

8. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დააწესოს მკაცრი კონტროლი რესპუბლიკის საზღვრისპირა რაიონებში საპასპორტო რეჟიმის დაცვისადმი.

რესპუბლიკის სამხედრო კომისარიატმა გააძლიეროს კონტროლი სამხედრო ვალდებულთა მიერ სამხედრო აღრიცხვის წესების დაცვისადმი, არ დატოვონ ამ წესების დარღვევის არც ერთი შემთხვევა კანონით გათვალისწინებულ ზომების მიღების გარეშე.

9. ახალქალაქის, წალკის, ბოგდანოვკის, დმანისის, ბოლნისის, ასპინძის, თეთრი წყაროსა და ახალციხის რაიონების პარტიის რაიკომებმა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა უზრუნველყონ, რომ რაიონებში უცილობლივ სრულდებოდეს როგორც ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში, ისევე თვით რესპუბლიკის ობიექტებზე სამუშაოდ გასაგზავნად მუშათა ორგანიზებული შეგროვების გეგმები.

10. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა რაიონის ფარგლებს გარეთ სეზონურ სამუშაოზე ცალკეულ კოლმეურნეთათვის გამგზავრების ნებართვის მიცემისას განუხრებლად იხელმძღვანელონ კოლმეურნეობის წესდებით, ამასთან გამოიყენონ შრომის დისციპლინის ბოროტ დამრღვევთა მიმართ სასჯელის მკაცრი ზომები, მათ შორის კოლმეურნეობიდან გარიცხვა და საკარმიდამო ნაკვეთის ჩამორთმევა.

საბჭოთა მეურნეობების ღირებულებებმა შრომის კანონმდებლობის ზუსტი შესაბამისობით მიიღონ გადაწყვეტი ზომები იმ პირთა მიმართ, რომლებიც სამუშაოს სტოვებენ დადგენილი წესის დაუცველად, სამუშაოდანაც კი დაითხოვონ ისინი როგორც გამცდენები და ჩამოართვან საკარმიდამო ნაკვეთით სარგებლობის უფლება.



საგარეო ურთიერთობების
მინისტრატის
საბჭოს

12. ეთხოვთ სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრატსა და საბჭოს:

დაევალონ შესაბამის ორგანიზაციებს, რომ სხვა რესპუბლიკებიდან ჩასულ მუშათა და კოლმეურნეთა სამუშაოდ მიღებისას მტკიცედ იხელმძღვანელონ სსრ კავშირის მინისტრატა საბჭოს 1951 წლის 28 ნოემბრის დადგენილებით და სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრატა საბჭოს 1969 წლის 28 ნოემბრის № 910 დადგენილებით დამტკიცებული კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებით, რომლებითაც განსაზღვრულია კოლმეურნეობის ფარგლებს გარეთ სეზონურ სამუშაოებზე კოლმეურნეთა წასვლის წესი.

13. საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრომ საქართველოს სსრ მინისტრატა საბჭოს შრომითი რესურსების გამოყენების სახელმწიფო კომიტეტთან და პარტიის რაიკომებთან ერთად შეიმუშაოს და წლის ბოლომდე წარმოუდგინოს საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრატა საბჭოს მეცნიერულად დასაბუთებული კონკრეტული წინადადებანი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ შრომისუნარიანი მოსახლეობის სეზონური მიგრაციის ლიკვიდაციის შესახებ.

14. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, ახალქალაქის, ახალციხის, ასპინძის, ბოგდანოვკის, ბოლნისის, დმანისის, თეთრი წყაროს, წალკის რაიონების პარტიის რაიკომებსა და მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს ორი თვის ვადაში მოახსენონ საქართველოს კპ ცენტრალურ კომიტეტსა და საქართველოს სსრ მინისტრატა საბჭოს მოსახლეობის სეზონური მიგრაციის აღსაკვეთად და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებაში შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად განხორციელებულ ღონისძიებათა შესახებ.

საქართველოს კპ
ცენტრალური კომიტეტის მდივანი
ბ. შევაბრღნაძე.

საქართველოს სსრ
მინისტრატა საბჭოს თავმჯდომარე
ბ. ჯავახიშვილი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 6 მარტი, № 194

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

23 სოფლად მუშენაგლობის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში მნიშვნელოვნად გადიდდა რესპუბლიკის სოფლებში განხორციელებული საწარმოო და საბინაო მშენებლობის მოცულობა.

გაიზარდა საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სამშენებლო ორგანიზაციათა სიმძლავრეები და ტექნიკური აღჭურვილობა. მტკიცდება სამშენებლო ინდუსტრიის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა.

დიდი მუშაობა ხორციელდება იმისთვის, რომ სოფლები გარდაიქმნან კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კეთილმოწყობილ დასახლებებად. საბჭოთა მეურნეობების ცენტრალური ეზოების მნიშვნელოვანი ნაწილი უზრუნველყოფილია დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებით. დამთავრდა 34 ადმინისტრაციული რაიონის რაიონული დაგეგმარების პროექტების დამუშავება. მიმდინარეობს მეცხოველეობისა და მეფრინველეობის მსხვილი კომპლექსების მშენებლობა.

ამასთანავე სასოფლო მშენებლობაში არის სერიოზული ნაკლოვანებანი. ჯერ კიდევ დაბალია საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, საკოლმეურნეობათშორისო და სხვა სამშენებლო ორგანიზაციების მიერ სოფლად წარმოებულ სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ხარისხი. სასოფლო მშენებლობაში გამოყენებული აგური და სხვა საშენი მასალები ხშირად არ შეესაბამება სახელმწიფო სტანდარტების მოთხოვნებს. საკმარისად არ არის გამოყენებული ადგილობრივი საშენი მასალები.

სახელმწიფო საარქიტექტურო-სამშენებლო კონტროლის რაიონულ ინსპექტორთა თანამდებობანი შემოღებულია რესპუბლიკის მხოლოდ სამ რაიონში.

შემკვეთი სამინისტროები და უწყებები არადაამკმაყოფილებლად ახორციელებენ ტექნიკურ ზედამხედველობას სოფლად მშენებლობისადმი. მოუწესრიგებელია საავტორო ზედამხედველობაც.

რესპუბლიკაში ფაქტიურად არ დაწყებულა ექსპერიმენტულ-საჩვენებელი სოფლების განაშენიანების სამუშაოები.

ცენტრალური ეზოების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტებით უზრუნველყოფილია რესპუბლიკის იმ 1180 კოლმეურნეობის მხოლოდ 13 პროცენტი, რომლებსაც აქვთ ეს ეზოები.

რესპუბლიკის საპროექტო ორგანიზაციების მიერ სასოფლო მშენებლობისათვის შემუშავებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მთელ



რიგ შემთხვევებში არ შეესაბამება თანამედროვე ტექნიკურ მოთხოვნებს უოველთვის როდი გამოირჩევა ჯეროვანი ხარისხით.

გამოცემული არ არის საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი პროექტების კატალოგები სოფლად მშენებლობისათვის.

რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში (გაგრის, გარდაბნის, გურჯაანის, ზუგდიდის, მცხეთის, თელავის, საჩხერის, წალენჯიხის რაიონები) გამოვლინებულია ფაქტები, როცა საცხოვრებელი სახლებისა და სხვა ობიექტების მშენებლობისას არღვევენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ 1971 წლის იანვარში დამტკიცებულ სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესებს.

ხშირად ინდივიდუალური მენაშენეები საცხოვრებელ სახლებს აშენებენ საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის გარეშე.

სოფლად დაპროექტებისა და მშენებლობის შემდგომი მოწესრიგებისა და ხარისხის გაუმჯობესების მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რესპუბლიკის რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა, საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც სოფლად მშენებლობას ახორციელებენ, მტკიცედ იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 11 იანვრის № 14 დადგენილებით დამტკიცებული სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესებით.

2. აეკრძალოთ 1974 წლის 1 იანვრიდან უპროექტო მშენებლობა სოფლად საცხოვრებელი სახლების ინდივიდუალურ მენაშენებს.

დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებთან არსებულ საპროექტო ჩგუფებს შეიმუშაონ და შეუსაბამონ ადგილმდებარეობას ინდივიდუალურ მენაშენეთა საცხოვრებელი სახლებისა და სამეურნეო ნაგებობების პროექტები.

ამასთან დაკავშირებით:

ა) „საქართველოს სსრ სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 11 იანვრის № 14 დადგენილების მე-3 პუნქტის დამატებით დაწესდეს, რომ ინდივიდუალური საბინაო მშენებლობა სოფლად შეიძლება ხორციელდებოდეს ტიპობრივი, აგრეთვე ინდივიდუალური პროექტებით, რომლებიც შეთანხმებულია რაიონულ არქიტექტორთან.

ინდივიდუალურ მენაშენეთათვის საცხოვრებელი სახლების დაპროექტებისას იხელმძღვანელონ საქართველოს სსრ სახმშენის მიერ დამტკიცებული ნორმატივებით;

ბ) შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 11 იანვრის № 14 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს სსრ სასოფლო დასახლებული პუნქტების განაშენიანების წესებში“ შემდეგი ცვლილებანი:

— მე-6 პუნქტის ბოლო აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„აკრძალულია სამრეწველო, საწარმოო, საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობებისა და ნაგებობების, აგრეთვე საინჟინრო ქსელებისა და კომუნიკაციების ყოველგვარი უპროექტო მშენებლობა“.

— 26-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის საკარმიდამო ნაკვეთის განაშენიანება და კეთილმოწყობა უნდა განხორციელდეს პროექტისა და რაიონული არქიტექტორის მიერ გაცემული საკარმიდამო ნაკვეთის განაშენიანების იმ გეგმის ზუსტი შესაბამისობით, რომელშიც აღნიშნულია საცხოვრებელი სახლებისა და საძეურნეო ნაგებობების დადგმის (ძიბმის) ადგილი“.

3. საქართველოს სსრ სახმშენმა:

„საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტთან ერთად გადასინჯოს ინდივიდუალური სასოფლო მშენებლობისათვის საცხოვრებელი სახლების ტიპობრივი პროექტების მოქმედი კატალოგი და შეიმუშაოს 1973 წლის 1 სექტემბრამდე უფრო ეკონომიური საცხოვრებელი სახლების 5 ტიპობრივი პროექტი;

შეიმუშაოს და დაამტკიცოს სოფლად ინდივიდუალური საბინაო მშენებლობის დაპროექტებისათვის საერთო ფართობების ნორმატივები, აგრეთვე ინდივიდუალურ მენაშენეთათვის საპროექტო-დასაგეგმარებელ სამუშაოთა ფასების პრეისკურანტი.

4. სოფლად ინდივიდუალურ მენაშენეთათვის შემუშავებული ტიპობრივი პროექტების სოფლის მოსახლეობაში პროპაგანდის მიზნით რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს საქართველოს სსრ სახმშენთან შეთანხმებით მოაწყონ და განხორციელონ 1973-1975 წლებში თითოეულ ავტონომიურ რესპუბლიკაში, ოლქში, რაიონში, კოლმეურნეთა სახსრების ხარჯზე და კრედიტებით ერთი-ორი ინდივიდუალური საჩვენებელი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის მიერ შემუშავებული საუკეთესო ტიპობრივი პროექტების მიხედვით, უზრუნველყონ ამ ობიექტების მშენებლობა საჭირო საშენი მასალებით, ტექნიკური დახმარებითა და მშენებლობის ხარისხისადმი ზედამხედველობით.

საჩვენებელი სახლების მშენებლობის დამთავრების შემდეგ ფართოდ გააცნონ ისინი ადგილობრივ მოსახლეობას.

აღნიშნულ ღონისძიებათა შესრულების კონტროლი პერსონალურად დაეკისროთ რაიონული საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებს.

5. საქართველოს სსრ სახმშენმა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გამომცემლობათა, პოლიგრაფიისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტმა გამოსცენ 1974 წელს „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის მიერ სოფლად მშენებლობისათვის შემუშავებული საცხოვრებელი სახლებისა და საზოგადოებრივი შენობების ტიპობრივი პროექტების ილუსტრირებული კატალოგი.

6. დაეკისროს, მოყოლებული 1973 წლიდან, კოლმეურნეობების ცენტრალური ეზოების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების დამუშავება, „საქსოფლმშენსახპროექტის“ ინსტიტუტის გარდა, „საქკოლმეურნპროექტის“ ინსტიტუტს, ამასთან დაევალოს „საქსოფლმშენსახპროექტს“ გაუწიოს მას მეთოდური დახმარება.

მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა უზრუნველყონ, რომ კოლმეურნეობებმა დადონ „საქსოფლმშენსახპროექტის“ ან „საქკოლმეურნპროექტის“ ინსტიტუტებთან ხელშეკრულებანი დაგეგმარების პროექტების შესადგენად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 6 მაისის № 431 განკარგულებით დაწესებული რიგითობის თანახმად.

7. საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ, რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქკოლმეურნმშენმა“, აგრეთვე სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებიც ექსპერიმენტულ სასოფლო მშენებლობაში მონაწილეობენ, ხობის, გორისა და დუშეთის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა მიიღონ გადაუდებელი ზომები დაბა „კოლხეთის“, სოფელ ზედდულეთის კოლმეურნეობის ცენტრალური ეზოსა და მაღალი მთის სოფელ გუდანის ექსპერიმენტულ-საჩვენებელი მშენებლობის წარმატებით განხორციელებასათვის.

8. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინოს მიმდინარე წლის პირველი ნახევრის ბოლომდე წინადადებანი იმის შესახებ, რომ შემოღებულ იქნეს სახელმწიფო საარქიტექტურო-სამშენებლო კონტროლის ინჟინერ-ინსპექტორთა თანამდებობანი, უწინარეს ყოვლისა, გავრის, ოჩამჩირის, ქობულეთის, ბორჯომის, გარდაბნის, გურჯაანის, დუშეთის, მარნეულის, მცხეთის, თელავის, წითელწყაროსა და წყალტუბოს რაიონებში.

9. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში მშენებლობის ხარისხისადმი კონტროლის გაუმჯობესების მიზნით მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ შეიქმნას 1973 წელს ტექნიკური ზედამხედველობის მუშაკთა შესანახად გათვალისწინებული სახსრების ხარჯზე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მშენებლობის სამმართველოსთან კოლმეურნეობებში მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის სამეურნეოანგარიშიანი ჯგუფი, ხოლო აფხაზეთის ასსრ-ში, აჭარის ასსრ-ში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქსა და რესპუბლიკის რაიონებში — კოლმეურნეობებში მშენებლობისადმი შემკვეთთა ტექნიკური ზედამხედველობის ერთიანი სამსახურები.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს დებულება კოლმეურნეობებში მშენებლობისადმი ტექნიკური ზედამხედველობის ერთიანი სამსახურის შესახებ და მისი სტრუქტურა, შეუთანხმოს ისინი საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტროს, საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროსა და რესპუბლიკურ გაერთიანება „საქკოლმეურნმშენს“.

10. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტრომ:

— გააძლიერონ ტექნიკური ზედამხედველობის პასუხისმგებლობა მშენებლობის ხარისხისათვის, პროექტების, სამშენებლო ნორმებისა და წესების დაცვისათვის;

— დააკომპლექტონ ტექნიკური ზედამხედველობის ჯგუფები კვალიფიციური კადრებით.

11. საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრომ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და საქართველოს სსრ სახმშენთან ერთად ორი თვის ვადაში წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ კასპის შიფერის ქარხანაში შეიქმნას:

— საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შეკვეთების მიხედვით დიდი ზომის აზბესტ-შიფერის ბრტყელი ფურცლების წარმოება;

— რესპუბლიკის სამშენებლო ორგანიზაციების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად რულონის სახურავის ცივი მასტიკისა და პარკეტის წარმოება.

12. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრომ და რესპუბლიკურმა გაერთიანებამ „საქკოლმეურნმშენმა“:

— გააძლიერონ სამუშაოთა მწარმოებლების პასუხისმგებლობა მშენებლობის ხარისხისათვის, პროექტების დაცვისა და საავტორო ზედამხედველობის მითითებათა შესრულებისათვის;

— უზრუნველყონ, მოყოლებული 1973 წლიდან, სოფლად მშენებარე ყველა ობიექტი პროექტებითა და სამუშაოთა წარმოების ეურნალებით.

13. ნება დაერთოთ საქართველოს სსრ სახმშენს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსა და რესპუბლიკურ გაერთიანებას „საქკოლმეურნმშენს“ მოაწყონ 1973 წელს საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მეშვეობით ინჟინერთა და არქიტექტორთა სპეციალიზებული ტურისტული ჯგუფის მოგზაურობა უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში სოფლად დაპროექტებისა და მშენებლობის მოწინავე გამოცდილების გასაცნობად, იმ სახსრების ხარჯზე, რომლებიც გათვალისწინებულია ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლებისათვის.

14. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ შეიქმნას „საქსოფლომშენსახპროექტის“ ინსტიტუტთან სასოფლო მშენებლობის სამეცნიერო-ექსპერიმენტული ქვედანაყოფი და აღიძრას ეს საკითხი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის წინაშე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიუვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**



ქართული
ნაციონალური
ბიბლიოთეკა

24 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 სექტემბრის № 688 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა კალადაპარგულად ჩათვლის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 სექტემბრის № 688 დადგენილების შესაბამისად, რომელიც მიღებულია „ტვირთზიდვის წლიური და კვარტალური დაგეგმვის ძირითად დებულებათა დამტკიცების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 4 იანვრის № 6 დადგენილებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 სექტემბრის № 791 დადგენილებისა „წლიური და კვარტალური სამეურნეო გეგმების დამუშავების წესისა და ვადების შესახებ“;

— მე-2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი და მე-3 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 20 ივნისის № 832 დადგენილებისა „რესპუბლიკური დაქვემდებარების საერთო სარგებლობის საავტომობილო ტრანსპორტით ტვირთის გადაზიდვისა და მგზავრთა გადაყვანის მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“;

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 15 ნოემბრის № 790 დადგენილება „საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 7 იანვრის № 10 დადგენილების დამატების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 20 სექტემბრის № 688 დადგენილებით:

ა) ძალადაკარგულად ჩაითვალა:

— სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 2 აგვისტოს № 1035 დადგენილება „პირდაპირი შერეული სარკინიგზო-საწყლოსნო, პირდაპირი საწყლოსნო და პირდაპირი შინაგანი საწყლოსნო მიმოსვლით ტვირთზიდვის დაგეგმვის წესის დებულების დამტკიცების შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 7 აგვისტოს № 1001 განკარგულებით;

— დანართის მე-2 პუნქტის მეორე აბზაცი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 14 ოქტომბრის № 1420 დადგენილებისა „საწარმოებისა და ორგანიზაციების აღრიცხვა-ანგარიშგების საქმეში ზედმეტობის აღმოფხვრის შესახებ“, რომელიც დაგზავნილია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 24 ნოემბრის № 671 დადგენილებით;

ბ) დაწესდა, რომ შერეული მიმოსვლით ტვირთზიდვის დაგეგმვის საკითხებს, რომლებსაც არ ითვალისწინებენ ძირითადი დებულებანი ტვირთზიდვის წლიური და კვარტალური დაგეგმვის შესახებ, წყვეტენ დაინტერესებული სატრანსპორტო სამინისტროები და უწყებები ურთიერთშეთანხმებით, ხოლო

უთანხმოების შემთხვევაში — სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი და შეაქვეთ შესაბამისი სახეობის ტრანსპორტით ტვირთზიდვის დაგეგმვის წესებში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე ზ. ჯავახიშვილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ თბილისი, 1973 წ. 2 მარტი, № 108

**25 ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის საკარანტინო მავნებ-
ლებთან ბრძოლის ღონისძიებათა გაძლიერების შესახებ**

იმასთან დაკავშირებით, რომ რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებში ჯერ კიდევ აქვს ადგილი ხეხილის საკარანტინო მავნებლის—აღმოსავლური ნაყოფკამიას გავრცელებას, აგრეთვე არსებობს საშიშროება მეზობელი რაიონებიდან რესპუბლიკაში კოლორადოს ხოჭოს შემოტანისა, რომელიც აზიანებს კარტოფილს და ბოსტნეულ კულტურებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. მიღებულ იქნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მცენარეთა კარანტინის საქართველოს სახელმწიფო ინსპექციის წინადადება და დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების (ქალაქების) მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს გააძლიერონ ბრძოლა ხეხილის საკარანტინო მავნებლის — აღმოსავლური ნაყოფკამიას წინააღმდეგ, დაავადების ზონებში დააწესონ სადღეღამისო საკარანტინო საგუშაგოები და გააძლიერონ საკარანტინო ზედამხედველობა, რათა რესპუბლიკაში არ გავრცელდეს აგრეთვე კოლორადოს ხოჭო.

2. აიკრძალოს ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის რესპუბლიკაში შემოზიდვა და მის ფარგლებს გარეთ გაზიდვა საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსა და ცეკავშირის განრიგების გარეშე, ამასთან მტკიცედ დაიცვან ამ გადაზიდვათა საკარანტინო წესები.

ქ. მარტის სსრ. საქ. სახელმწიფო რესპუბლიკის მ. ლომთაძე

12.903



3. ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველომ, საქართველოს სსრ ავტორა-
ნსპორტის სამინისტრომ, სსრ კავშირის სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამმართველომ, სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის სამინისტროს საქართველოს შავი ზღვის სანაოსნომ, საქართველოს სსრ კავშირგაბმულობის სამინისტრომ, რესპუბლიკის სამინისტროებმა და უწყებებმა, რომელთა გამგებლობაშია სატრანსპორტო საშუალებანი, არ დაუშვან ხილის, ბოსტნეულისა და კარტოფილის რესპუბლიკაში შემოზიდვა და მის ფარგლებს გარეთ გაზიდვა ამ დადგენილების მეორე პუნქტში მითითებული ვანრიგების გარეშე.

4. საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტრომ და მისმა ადგილობრივმა ორგანოებმა დააწესონ კონტროლი ამ დადგენილების განუხრელად შესრულებისადმი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 5 მარტი, № 111.

26 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ყოფილი სახელმწიფო კომიტეტის — „საქკონსერვაციონალური“ ორგანიზაციების, საწარმოებისა და ფუნქციების ცეკავშირისათვის, საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროსა და საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსათვის გადაცემის შესახებ

(ამონაკრები)

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტის „საქკონსერვაციონალური“ გაუქმებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაეკისროთ:

ა) ცეკავშირს:

თესლოვანი, კურკოვანი, ციტრუსოვანი, სუბტროპიკული და გარეული ხილისა და კენკრის, კაკლის, თხილის, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბალჩეული კულტურების დამზადება საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში და შესყიდვა მოსახლეობისაგან;

ხილის, ციტრუსების, ბოსტნეულისა და კარტოფილის მიწოდება საერთო-საკავშირო ფონდში, ადგილობრივი ვაჭრობისა და სამრეწველო გადაამუშავებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ დამტკიცებული სოფლის მეურნეობის პროდუქტების გამოყენების გეგმის თანახმად, ამ პროდუქტების საცალო ვაჭრობა თავისი საქმიანობის ზონაში.

შეუნარჩუნდეთ საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს მეხილეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებს ის უფლება, რომ უშუალოდ მიაწოდონ მომხმარებლებს ხილი და ბოსტნეული ცეკავშირის განრიგების მიხედვით, გამოყენების დამტკიცებული გეგმის ფარგლებში;

ბ) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს:

ხილის, ციტრუსების, ბოსტნეულის, კარტოფილისა და ბაღჩეული კულტურების საცალო და საბითუმო ვაჭრობა სახელმწიფო ვაჭრობის საქმიანობის ზონაში;

გ) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს:

ხილის, ბოსტნეულის, ციტრუსების, კარტოფილისა და გარეული ხილისა და კენკრის სამრეწველო გადამუშავება ყოველწლიურად დამტკიცებულ გეგმათა ფარგლებში.

2. გადაეცეთ:

ა) ცეკავშირს — ხილის, ბოსტნეულის, კარტოფილის, ციტრუსებისა და გარეული ხილისა და კენკრის დამამზადებელ-ტექნიკური ბაზა.

გადაცემა მოხდეს 1973 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, დადგენილი წესის თანახმად;

ბ) საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს — „საქხილბოსტანვაჭრობის“ სამმართველო საცალო და საბითუმო ვაჭრობის ყველა საწარმოთი, საცავითა და სამაცივრო ტევადობით.

გადაცემა მოხდეს ბალანსიდან ბალანსზე 1973 წლის 1 იანვრის მდგომარეობით;

გ) საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტროს — „საქკონსერვტრესტი“ და „საქხილღვინო“.

გადაცემა მოხდეს ბალანსიდან ბალანსზე 1973 წლის 1 იანვრის მდგომარეობით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯაპახიუშვილი**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **წ. ახვლედიანი**.

27 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულეზის ნაცვლად ახალი მიწი- ბის ათვისებისა და ხარჯების ანაზღაურების ნორმების შესახებ

აღინიშნოს, რომ „სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 აპრილის № 230 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-10 პუნქტის თანახმად საწარმოები, დაწესებულებები, უწყებები და ორგანიზაციები, რომელთაც კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო მეურნეობების მიწებიდან გამოეყოფათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები, ვალდებული არიან აუნაზღაურონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი მიწების ათვისების ხარჯები (ნაცვლად გამოყოფილი მიწებისა), მაგრამ ამ ხარჯების ანაზღაურების საქმეში ადგილი აქვს შეფერხებას.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციებისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სამაგიეროდ ახალი მიწების ათვისების ხარჯების ანაზღაურების ნორმები შემდეგი ოდენობით:

ერთი ჰექტარი სარწყავი სახნავი მიწისათვის — 3000 მანეთი;

ერთი ჰექტარი დაშრობილი სახნავი მიწისათვის — 2500 მანეთი;

ერთი ჰექტარი ურწყავი სახნავი მიწისათვის — 1000 მანეთი;

ერთი ჰექტარი სათიბ-საძოვრისათვის — 400 მანეთი.

2. საწარმოებმა, დაწესებულებებმა, უწყებებმა და ორგანიზაციებმა, რომელთაც 1966 წლის 22 აპრილის შემდეგ გამოეყოთ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის სახნავი მიწები და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები, აუნაზღაურონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ახალი მიწების ათვისების ხარჯები დაწესებული ნორმების მიხედვით.

3. საწარმოებს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც გამოეყოფათ სასოფლო-სამეურნეო სავარგულები არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის, კატეგორიულად აეკრძალოთ მათი დანიშნულებისამებრ გამოყენება მანამდე, სანამ ისინი საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს არ აუნაზღაურებენ ახალი მიწების ათვისების ხარჯებს ამ დადგენილებით დაწესებული ნორმების მიხედვით.

4. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების რაიონულ და საქალაქო საბჭოების აღმასკომებს მათი რაიონების ტერიტორიაზე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყოფილი სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწების სამაგიეროდ ყოველწლიურად შეარჩიონ სახნავად ასათვისებლად ვარგისი მიწის ფართობები და განაცხადი ამ მიწების ათვისებაზე წარუდგინონ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

5. დაევალოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“ ურად შეასრულოს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყოფილი მიწების სამაგიეროდ ახალი მიწების ათვისების სამუშაოები იმ მოცულობით, რასაც წარუდგენს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოველი წლის პირველი მარტისათვის წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ანგარიში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყოფილი მიწების სამაგიეროდ ახალი მიწების ათვისების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 9 მარტი, № 130

28 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1968 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის კოდექსის 327 მუხლის შესაბამისად დაიშვება გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად იმ მუშებისა და მოსამსახურეებისა, რომლებმაც შეწყვიტეს შრომითი ურთიერთობა საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით, ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, შემდეგი პუნქტი:

„136. საცხოვრებელი სახლები, რომლებიც ეკუთვნის სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საკავშირო გაერთიანება „საკავშირო სოფლტექნიკის“ საქართველოს სახელმწიფო ზონალურ სამეცნიერო-კვლევით მანქანათა საგამოცდო სადგურს“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 9 მარტი, № 136



29 ავტომოყვარული მძღოლის, მოტოციკლის ან მოპედის მძღოლის მოწმობის მისაღებად სწავლების მთელი დამტკიცებული პროგრამის მიხედვით, რომლებმაც დამოუკიდებლად გაიარეს სწავლებლის კურსი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელთაც სურთ მიიღონ ავტომოყვარული მძღოლის მოწმობა, არ შედის საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტის სისტემის კურსებზე, არამედ ემზადება დამოუკიდებლად ან დასახმარებლად მიმართავს ცალკეულ პირებს, რომელთა უმრავლესობა დაუფლებული არაა კურსის სწავლების მეთოდისა, არა აქვს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის ჩვევები და ამიტომ უშვებს სერიოზულ, ზოგჯერ გამოუსწორებელ შეცდომებს სწავლების პროცესში, მაშინ, როცა ავტომობილის ტარებას უნდა ასწავლიდნენ ინსტრუქტორები სპეციალურად მოწყობილ, დუბლირებული მართვის ავტომანქანებზე, რომლებიც მხოლოდ სპეციალურ სასწავლო ორგანიზაციებშია.

ასეთი სწავლებისა და ავტოსატრანსპორტო საშუალებათა მართვის არასწორი ჩვევების გამომუშავების შედეგად ავტომოყვარული მძღოლები უხეშად არღვევენ მოძრაობის უსაფრთხოების წესებს. მაგალითად, უკანასკნელ 7 წელიწადში მათ მოახდინეს 3833 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა (ავარიების საერთო რაოდენობის 27,9 პროცენტი), რომელთა დროს დაიღუპა 945 და დაშავდა 4412 კაცი. 1972 წელს ინდივიდუალურ მფლობელთა ტრანსპორტის მძღოლებმა რესპუბლიკაში მოახდინეს 905 შემთხვევა, რომელთა დროს დაიღუპა 162 და დაშავდა 1117 კაცი. ეს აღნიშნულ შემთხვევათა საერთო რაოდენობის 32,5 პროცენტს შეადგენს, ნაცვლად 1971 წლის 29,4 პროცენტისა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მომავალ ავტომოყვარულ მძღოლთა, მოტოციკლისა და მოპედის მძღოლთა მომზადების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით დაკმაყოფილდეს საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს თხოვნა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 სექტემბრის № 609 დადგენილებით რესპუბლიკაში შემოღებული დებულების მე-18 პუნქტის ნაწილობრივ შესაცვლელად ამოღებულ იქნეს დებულებიდან სიტყვები: „ . . . აგრეთვე დამოუკიდებლად მომზადებულებს . . . “

2. დაევალოს საქართველოს სსრ არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალურ კომიტეტს:

— მიიღოს არსებულ კურსებზე მოქალაქენი ავტომოყვარული მძღოლის მოწმობის მისაღებად სწავლების მთელი დამტკიცებული პროგრამის მიხედვით მათი მომზადების მიზნით;

— გააუმჯობესოს მოყვარულ მძღოლთა მომზადების ხარისხი სისტემის ყველა ორგანიზაციაში და გაადიდოს მომთხოვნელობა კურსების მოსწავლეთა მიმართ.



31 რესპუბლიკური დაქვემდებარების საავტომობილო ტრანსპორტით და ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების და პირობების და სატრანსპორტო ორგანიზაციებისათვის ამასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 იანვრის № 45 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

„რკინიგზის, საავტომობილო და სხვა სახეობათა ტრანსპორტით მოკავშირე, ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა უფასოდ მგზავრობის წესისა და პირობების და სატრანსპორტო ორგანიზაციებისათვის ამასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 იანვრის № 45 დადგენილების მე-3 პუნქტის შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა მგზავრობა რესპუბლიკური დაქვემდებარების საავტომობილო ტრანსპორტით და ადგილობრივი დაქვემდებარების ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) შესაბამის ტერიტორიაზე ხორციელდება დეპუტატთა მოწოდების მიხედვით, საქართველოს სსრ საავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროსა და საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ რესპუბლიკური დაქვემდებარების საავტომობილო ტრანსპორტით და ყველა სახეობის საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა) საქართველოს სსრ, აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების დეპუტატთა უფასოდ მგზავრობასთან დაკავშირებული ხარჯები მხედველობაში მიიღება საქართველოს სსრ შესაბამის სამინისტროთა და უწყებათა შემოსავალ-გასავლის წლიური ბალანსების შედგენის დროს.

3. დავალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს ორი თვის ვადაში წარუდგინონ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტსა და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს ამ დადგენილებით გათვალისწინებული ხარჯების წლიური გაანგარიშება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

32 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების მე-7 პუნქტის შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ჩამოყალიბდეს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 19 ივნისის № 412 დადგენილების მე-7 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

„როდესაც ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოიცემა ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები (აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობის ან ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომი), რომელიც თავდაპირველად გამოცემულია სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე სხვა ენაზე, გარდა რუსულისა, ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს მიეცემა ჰონორარი ამ დადგენილების 1-ლი განაყოფით ვათვალისწინებული განაკვეთის 60 პროცენტის ოდენობით (ნაწარმოების სახეობის მიხედვით). ასეთივე უფლებით სარგებლობენ იმ ნაწარმოებთა ავტორები, რომლებიც ითარგმნა სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე ენიდან და გამოიცა რუსულად.

როდესაც ქართულ, აფხაზურ და ოსურ ენებზე გამოიცემა თავდაპირველად რუსულ ენაზე გამოცემული ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოები (აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობის ან ხელოვნებათმცოდნეობის ნაშრომი), ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს მიეცემა ჰონორარი აღნიშნული სახეობის ნაწარმოებთათვის დაწესებული მინიმალური განაკვეთის 60 პროცენტის ოდენობით, მიუხედავად ტირაჟისა.

ამ განაყოფში აღნიშნულ ნაწარმოებთა თარგმანის ყოველი ხელახალი გამოცემისათვის, აგრეთვე ჩვეულებრივი ან მასობრივი გამოცემის ტირაჟის ნორმების გადამეტებისათვის ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს ჰონორარი მიეცემა ამ დადგენილების მე-2 პუნქტით დაწესებული ოდენობით თარგმანის პირველი გამოცემის განაკვეთიდან (მაგალითად, მეორე გამოცემისათვის — 60 პროცენტი 60 პროცენტიდან, ე. ი. 36 პროცენტი, მეოთხე გამოცემისათვის — 40 პროცენტი 60 პროცენტიდან, ე. ი. 24 პროცენტი). ამასთან თავდაპირველად რუსულ ენაზე დაბეჭდილი ნაწარმოების თარგმანის ყოველი ხელახალი გამოცემისათვის ნათარგმნი ნაწარმოების ავტორს ჰონორარი მიეცემა ტირაჟის მიუხედავად.

შენიშვნა: სსრ კავშირში მცხოვრები ავტორი უცხო ენაზე ან სსრ კავშირის ხალხთა იმ ენაზე შექმნილი ლიტერატურულ-მხატვრული ნაწარმოებისა, რომელზეც არ ხორციელდება საგამომცემლო საქმიანობა და ამის გამო იგი თავდაპირველად რუსულ ენაზე დაიბეჭდა, ასეთი ნაწარმოების ქართულ, აფხა-



ზურ და ოსურ ენებზე გამოცემისას ჰონორარს მიიღებს ისეთ ნაწარმოებთა ავტორებისათვის დადგენილი წესით, რომლებიც თავდაპირველად დაიბეჭდა სსრ კავშირის ხალხთა რომელიმე ენაზე, გარდა რუსულისა“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **უ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 21 მარტი, № 164

33 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს
№ 531 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1967 წლის 12 აგვისტოს № 531 დადგენილებაში „ცენტრალიზებულ კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვისა და მშენებლობათა სატიტულო სიების დამტკიცების წესის შესახებ“ და 1-ლი პუნქტისა და 1¹ პუნქტის „ა“, „ბ“, „დ“ და „ე“ ქვეპუნქტებს სიტყვების შემდეგ „ასრ მინისტრთა საბჭოები“ დამატოს სიტყვები „და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქების თბილისისა და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომები“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **უ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 10 მარტი, № 165

34 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 3 ივლისის № 369 დადგინდებით დამტკიცებული მხრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დებულების მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„მოაწყობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის მუშაობას რაიონის კოლმეურნეობებში, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ყოველი ღონისძიებით გააფართოებს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგებს, განახორციელებს ახსნა-განმარტებით მუშაობას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მნიშვნელობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს მხრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დებულების მე-8 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტს შემდეგი შინაარსის აბზაცი:

„მოაწყობს გამომგონებლობისა და რაციონალიზაციისათვის მუშაობას რაიონის კოლმეურნეობებში, სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებსა და ორგანიზაციებში, ყოველი ღონისძიებით გააფართოებს გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიგებს, განახორციელებს ახსნა-განმარტებით მუშაობას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში შრომის ნაყოფიერების შემდგომი ამაღლებისათვის გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის მნიშვნელობის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 24 მარტი, № 179

35 „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, საგზაო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1972 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს ინსტრუქცია „საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამეურნეო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების გამოყენების წესის თაობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 20 აპრილი, № 262



ი ნ ს ტ რ უ შ ც ი ა

„საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების ჩაბმის წესის, ვადებისა და ფორმების, აგრეთვე საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის პასუხისმგებლობის შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1962 წლის 25 მაისის, 1965 წლის 28 ივნისის, 1969 წლის 18 ოქტომბრის და 1972 წლის 29 დეკემბრის ბრძანებულებებით გათვალისწინებული ცვლილებებითა და დამატებებით) გამოყენების წესის თაობაზე

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების I მუხლის შესაბამისად ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობს ყველა კოლმეურნეობა, საბჭოთა მეურნეობა, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმო და სამეურნეო ორგანიზაცია, რომლებიც მდებარეობენ როგორც სოფლად, ისე ქალაქად, მიუხედავად მათი დაქვემდებარებისა. ჩამოთვლილი ორგანიზაციების მონაწილეობა საგზაო სამუშაოებში სავალდებულოა და მისი ანაზღაურება არ ხდება.

ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში არ მონაწილეობენ:

ა) სასწავლებლები, ადმინისტრაციული, სამეცნიერო, კულტურულ-საგანმანათლებლო, სამკურნალო და სხვა დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც სახელმწიფო ბიუჯეტზე იმყოფებიან;

ბ) სანახაობითი დაწესებულებები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები (გარდა სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისა);

გ) ორგანიზაციები, რომლებიც საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების ექსპლუატაციას ახორციელებენ;

დ) საბინაო-საექსპლუატაციო კანტორები და საბინაო სამმართველოები;

ე) სსრ კავშირის სახბანკის, სსრ კავშირის მშენბანკისა და სსრ კავშირის სახდაზღვევის დაწესებულებები.

2. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების 2 და 3 მუხლების შესაბამისად საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის წლიური მოცულობა (სახარჯთაღრიცხვო ღირებულება) ყველა კოლმეურნეობისათვის, საბჭოთა მეურნეობისათვის, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის განისაზღვრება:

კოლმეურნეობებისათვის ყოველ შრომისუნარიან წევრზე გამომუშავების ორიდან ოთხამდე დღიური ნორმის, აგრეთვე კოლმეურნეობების კუთვნილ ყოველ სატვირთო ავტომობილზე, ტრანსპორტზე, სამშენებლო და საგზაო მექანიზმზე და ცოცხალი გამწვევი ძალის ყოველ ერთეულზე ოთხი დღიური ნორმის მოცულობით. გამომუშავების დღიური ნორმების კონკრეტულ რაოდენობას აწესებენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები, სამუშაოთა მოცულობისა და ხასიათის მიხედვით.

საბჭოთა მეურნეობები, ხე-ტყის სამრეწველო მეურნეობები, რესპუბლიკური გაერთიანების „საქსოფლტექნიკის“ რაიონული და სარაიონთაშორისო განყოფილებები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოები და სხვა სამეურნეო ორგანიზაციები (გარდა საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს ორგანიზაციებისა) მონაწილეობენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მათი კუთვნილი ყოველი სატვირთო ავტომობილის, ტრაქტორის, სამშენებლო და საგზაო მექანიზმის გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის მოცულობით წელიწადში, მაგრამ არანაკლებ მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის (მთლიანი პროდუქციის, საკუთარი ძალებით შესასრულებელი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების, ტვირთზიდვისა და მგზავრთა გადაყვანისაგან მიღებული საერთო შემოსავლის მოცულობის და ა. შ.) 0,5 პროცენტისა.

მე-2 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებში ჩამოთვლილ სატვირთო მანქანებს განეკუთვნება აგრეთვე ყველა სახის ავტოციკლერები, ცემენტშიდები, სპეციალური ძარიანი ავტომანქანები, ავტომწვეები, ამწე მტვირთავები, მათ შორის როგორც მუხლუხიანი, ასევე პნევმატიკური სვლით;

იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის ის ნაწილი რომელიც გამოყენებულ უნდა იქნეს საგზაო სამუშაოებზე, აღემატება მათი კუთვნილი ტრანსპორტისა და მექანიზმების გამომუშავების ექვსი დღიური ნორმის ღირებულებას და ამავე დროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს არა აქვთ საშუალება შეასრულონ ეს ნაწილი თავიანთი ტრანსპორტითა და მექანიზმებით, მათ შეუძლიათ განსხვავება დაფარონ ფულადი შენატანით.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-6 მუხლით ამავე ბრძანებულების მე-3 მუხლში ჩამოთვლილი საწარმოები და ორგანიზაციები, რომლებსაც არა აქვთ საკუთარი ტრანსპორტი, მექანიზმები და მოწყობილობა, ადგილობრივი გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობენ მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის 0,5 პროცენტის ოდენობით, ხოლო მომმარაგებელი, გამსაღებელი და სავაჭრო ორგანიზაციები — მათი წლიური ბრუნვის (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლელად) 0,02 პროცენტის ოდენობით.

ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობა გამოითვლება გაერთიანების, კომბინატების, ტრესტების, ფირმებისა და სამეურნეო ანგარიშზე მყოფ

ფი სხვა ორგანიზაციებისათვის, რომლებიც თავიანთ რიგებში აერთიანებენ დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფ საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, მათი ძირითადი საქმიანობის მოცულობის იმ ნაწილის გამოკლებით, რომელიც ასახულია დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი მათდამი დაქვემდებარებული საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითად წლიურ მოცულობაში;

ა) ენერგეტიკული საწარმოებისათვის (თბოელექტროცენტრალები, თბოელექტროსაგურები, ჰიდროელექტროსადგურები) მათი საერთო პროდუქციის წლიური მოცულობის მიხედვით (მათ მიერ წელიწადში გამომუშავებული ელექტრო და თბოენერგიის გასაშვები ფასებით):

ბ) მომმარაგებელი, გამსაღებელი და სავაჭრო ორგანიზაციებისათვის (მათ შორის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს საბითუმო ვაჭრობის ორგანიზაციებისათვის) — წლიური ბრუნვის (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლელად) 0,02 პროცენტის ოდენობით;

გ) დამზადების სამინისტროს პურის მიმღები საწარმოებისათვის (პურის მიმღები პუნქტები, სარეალიზაციო ბაზები, ელევატორები, პურის ბაზები) — წლიური კომპლექსური ტვირთბრუნვის მიხედვით გაანგარიშებული ერთიანი ანგარიშსწორების გასაყიდ ფასებში, ხოლო ამ სამინისტროს გაერთიანებული მეურნეობებისათვის — საერთო პროდუქციის და კომპლექსური ტვირთბრუნვის მიხედვით გაანგარიშებული ერთიანი ანგარიშსწორების გასაყიდ ფასებში

ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოების მოცულობა მომმარაგებელი და გამსაღებელი ორგანიზაციებისათვის განისაზღვრება მათთვის დაგეგმილი როგორც სასაწყობო, ისე სატრანზიტო საქონელბრუნვიდან, რომელიც გაანგარიშებაში მონაწილეობს. ამასთან მხედველობაში არ მიიღება ის სატრანზიტო საქონელბრუნვა, რომელიც ანგარიშსწორების გარეშე ხორციელდება და რომლის მიხედვითაც არ არის დადგენილი ფასნამატი, საბითუმო-გამსაღებელი ან სავაჭრო ფასჩამოკლება, აგრეთვე საბითუმო ბაზებში საქონლის შიდასასისტემო გაშვება.

სამომხმარებლო კოოპერაციის ორგანიზაციებისათვის საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობის მოცულობა განისაზღვრება:

სამომხმარებლო საზოგადოებებისათვის — წლიური საცალო საქონელბრუნვიდან (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლელად);

დამამზადებელ-გამსაღებელი ბაზებისათვის და რაიადამამზადებელი კანტორებისათვის (საწესდებო) — მათ მიერ შესყიდული სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის წლიური ბრუნვიდან;

რაიონული სამომხმარებლო კავშირებისა და საქალაქო კოოპერაციული სავაჭროებისათვის — მათი სავაჭრო ქსელის წლიური საცალო საქონელბრუნვიდან (საზოგადოებრივი კვების ბრუნვის ჩათვლელად).

შენიშვნა: იმ შემთხვევაში, როდესაც საწარმოები და ორგანიზაციები მათდამი დაქვემდებარებული საქვეუწყებო ორგანიზაციების მეშვეობით აწარმოებენ სხვადასხვა სახის სამუშაოების იმ ქალაქებში და რაიონებში, სადაც მათ საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ანგარიშსწორების ან სხვა სახის ანგა-

რიში არა აქვთ გახსნილი და მიუხედავად ამისა ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში მონაწილეობენ მათი ძირითადი საქმიანობის იმ ნაწილის ოდენობით, რასაც ისინი ამ ქალაქებში ან რაიონებში აწარმოებენ, მაშინ ეს ორგანიზაციები ვალდებული არიან ცნობა მათი საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (გაცემული შესაბამისი რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების მიერ) დროულად წარუდგინონ იმ რაიონული ან საქალაქო საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს, სადაც ისინი ძირითადად მოღვაწეობენ და საბანკო ოპერაციების წარმოებისათვის ანგარიშსწორების ან სხვა სახის ანგარიში აქვთ გახსნილი, რათა განთავისუფლებულ იქნენ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან იმ ნაწილის გამოკლებით, რაც წარმოდგენილ ცნობაში იქნება ასახული. თუ ორგანიზაცია ასეთ ცნობებს ვერ წარადგენს, მაშინ იგი მონაწილეობს ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში თავისი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობით იმ ქალაქსა და რაიონში, სადაც ის დამოუკიდებელ ბალანსზე იმყოფება.

4. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-4 მუხლის შესაბამისად ამ ბრძანებულების მე-3 მუხლით გათვალისწინებულ სამუშაოთა მოცულობაში არ შედის ის საგზაო სამუშაოები, რომლებსაც შეასრულებენ საბჭოთა მეურნეობები, ხე-ტყის მრეწველობის მეურნეობები, სარემონტო-ტექნიკური სადგურები, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები მათი კუთვნილი საუწყებო გზების ან დადგენილი წესით მათთვის მიჩენილი ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობის, რემონტისა და მოვლა-შენახვისათვის.

5. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-5 მუხლის შესაბამისად აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს უფლება აქვთ, გამოიკვლიონ შემთხვევებში, ცალკეულ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს, მათი შუამდგომლობით, შეუცვალონ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობა ფულადი შესატანით შესასრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების ოდენობით.

6. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-7 მუხლის თანახმად საგზაო სამუშაოთა შესასრულებლად ყველა მექანიზმს, მოწყობილობას, სატრანსპორტო საშუალებას და გამწვევ ძალას მძღოლებთან, მომსახურე პერსონალთან და დასატვირთავ-გადმოსატვირთავი სამუშაოებისათვის საჭირო მუშახელთან ერთად გამოყოფენ სამეურნეო ორგანიზაციები და უზრუნველყოფენ საწვავით, საცხებით და სხვა მასალებით საკუთარი ფონდებიდან და თავიანთ ხარჯზე.

ადგილობრივი საავტომობილო გზების სამშენებლო და სარემონტო სამუშაოები განხორციელებულ უნდა იქნეს სამეურნეო ან საიჯარო წესით მათთვის



დადგენილი სამუშაოების მოცულობის სახარჯთაღრიცხვო ღირებულებების გლებში, ამასთან, როგორც წესი, უნდა შესრულდეს სამუშაოების მთელი კომპლექსი (გზის უბნის, ხიდისა და ა. შ. მშენებლობა ან რემონტი).

აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს შეუძლიათ კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს და სამეურნეო ორგანიზაციებს დაუდგინონ მათთან შეთანხმებით ცალკეული სახის საგზაო სამუშაოების დავალებათა შესრულება მათი საწარმოო პროფილის გათვალისწინებით (მიწის სამუშაოები, მასალების დამზადება და გადამუშავება, სატრანსპორტო სამუშაოები, საშენებლო სამუშაოები და სხვა) მათთვის დამტკიცებული საგზაო სამუშაოების საერთო მოცულობის ფარგლებში.

7. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-8 მუხლის შესაბამისად საგზაო სამუშაოებში სამეურნეო ორგანიზაციების უშუალო მონაწილეობის ძირითადი ფორმებია:

ა) კოლმეურნეობებში — მუდმივი საგზაო ბრიგადები;

ბ) საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო, სატრანსპორტო, საშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებში — მუდმივი მექანიზებული რაზმები ან ბრიგადები საგზაო სამუშაოთა მათთვის დაწესებული მოცულობისა და იმ მექანიზმების რაოდენობის მიხედვით, რომლებიც გამოყოფილია ამ სამუშაოთა შესასრულებლად.

8. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში წლიური გეგმის სამუშაოების მოცულობა გამოითვლება:

ა) კოლმეურნეობებისათვის — შრომისუნარიანი წევრების, სატვირთო ავტომობილების, სხვა სახეობის ტრანსპორტის, საშენებლო და საგზაო მექანიზმების, აგრეთვე ცოცხალი გამწევი ძალის რაოდენობის მიხედვით, რომელიც დადგენილ უნდა იქნეს ადგილობრივი სტატისტიკური და საგეგმო ორგანოების მონაცემების საფუძველზე;

ბ) საბჭოთა მეურნეობებისათვის, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციებისათვის — მათი კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების, მანქანებისა და მექანიზმების რაოდენობის მიხედვით, აგრეთვე მათი ძირითადი საქმიანობის წლიური მოცულობის მიხედვით, რაც დადგინდება ადგილობრივი სტატისტიკური, საგეგმო და ზემდგომი ორგანოების მონაცემების საფუძველზე.

9. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოების წლიური მოცულობის განსაზღვრისათვის მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული გამომუშავების ერთი დღიური ნორმის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება:

კოლმეურნეობის შრომისუნარიანი წევრისათვის — მე-3 თანრიგის მშენებელი მუშის გამომუშავებული ხელფასის დღიური სანარდო სატარიფო განაკვეთის ოდენობით;

— ცოცხალი გამწევი ძალისათვის — რესპუბლიკის რაიონებში მოქმედი ცხენდღის ან საქონელდღის ღირებულების მიხედვით;

ყველა სახის სატივროთ ავტომობილებისა და მექანიზმებისათვის — მანქანაცხლის ღირებულების მიხედვით, რომელიც სსრკ სახმშენის მიერ არის დადგენილი მანქანების სახეობათა შესაბამისად;

10. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-9 მუხლის შესაბამისად ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, სამეურნეო ორგანიზაციების მონაწილეობის წლიურ გეგმებს ადგენენ თითოეულ რაიონში მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები და ამტკიცებენ შესაბამისად სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტი, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოები და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

რაიონებისათვის დამტკიცებული გეგმები, როგორც წესი, წინასწარ იგზავნება საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროში, სადაც ხდება მათი საბოლოო დამუშავება და მიღებული საგეგმო მაჩვენებლების საფუძველზე რესპუბლიკისათვის ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის საანგარიშო წლის გეგმის შედგენა, რასაც შემდგომში ამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

წლიური გეგმები წლიურ სამუშაოთა მოცულობიდან (რომელიც წინასწარ არის გაანგარიშებული ფულადი მაჩვენებლებით) გადაანგარიშებულ უნდა იქნეს სახარჯთაღრიცხვო ღირებულებაში და კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებსა და ორგანიზაციებს უნდა ჰქონდეთ კონკრეტულად მითითებული ფიზიკურად შესასრულებელ სამუშაოთა მოცულობა, რომელიც ხარჯთაღრიცხვით არის გათვალისწინებული და რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს მათთვის დამტკიცებულ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის მოცულობის ფარგლებს.

ამასთანავე გეგმების შედგენის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მატერიალური რესურსებისა და ფულადი სახსრების კონცენტრაცია საერთო სარგებლობის უმნიშვნელოვანესი ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტისათვის.

დამტკიცებული გეგმების საფუძველზე, არა უგვიანეს 2 თვისა წლის დაწყებამდე, ყოველ კოლმეურნეობას, საბჭოთა მეურნეობას, საწარმოს, სამეურნეო ორგანიზაციას ეცნობება კვარტალურად დანაწილებული წლიური გეგმადავლება, სადაც მითითებულ უნდა იქნეს შესასრულებელი სამუშაოს ადგილი, მოცულობა და ვადები, კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, საწარმოებს, სამეურნეო ორგანიზაციებს ეს დავალებანი შეაქვთ თავიანთ წლიურ საქარმო-საფინანსო გეგმებში;

11. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის იმ სამუშაოთა ხელმძღვანელობას, ტექნიკურ მეთვალყურეობას, კონტროლს და მიღებას, რომლებსაც ასრულებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები, ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტე-



ტები ადგილობრივი საგზაო ორგანოების მეშვეობით და საქართველოს ავტომობილო გზების სამინისტროს.

12. ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციით უზრუნველყოფა ევალუბათ შესაბამისი რაიონებისა და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებს და საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს.

საპროექტო სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემუშავების ღირებულება შედის ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და კაპიტალური რემონტის სახარჯთაღრიცხვო-საფინანსო გაანგარიშებაში და საპროექტო ორგანიზაციებს გადაერიცხებათ მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების ადგილობრივი საგზაო ორგანოების მეშვეობით საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს მიერ.

ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია შედგენილ უნდა იქნეს იმ მშენებელი ორგანიზაციის ნორმების, შეფასებისა და ნორმატივების გათვალისწინებით, ვინც ამ სამუშაოებს ასრულებს.

13. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ შესრულებული სამუშაოების ან დამთავრებული სამშენებლო ობიექტების მიღება წარმოებს დადგენილი წესით.

დაუმთავრებელი სამუშაოები ან ხარვეზები, რომლებიც აღმოჩნდება შესრულებული სამუშაოს ან მთლიანად ობიექტის ჩაბარებისას მიღების აქტით, დადგენილ ვადაში უნდა აღმოფხვრას სამუშაოების შემსრულებელმა ორგანიზაციამ.

14. იმ შემთხვევაში, როცა კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები მათთვის დადგენილი საგზაო სამუშაოების კომპლექსის ანგარიშში აწარმოებენ ცალკეული სახეობის სამუშაოებს და ამისათვის გამოყოფენ სამშენებლო მანქანებს, მაშინ ამ მანქანებით შესრულებული სამუშაოების ღირებულება განისაზღვრება გამომუშავების ნორმებისა და მანქანა-ცვლების ღირებულების მიხედვით, რაც შესაბამისი სახეობის მანქანებისათვის დადგენილია სსრ კავშირის სახმშენის მიერ.

15. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტში მათთვის დადგენილი სამუშაოების გადაცემა საიჯარო წესით შემკვეთს არ უხსნის პასუხისმგებლობას აღნიშნული დავალებების დროულად, მთლიანად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

16. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოებისა და სამეურნეო ორგანიზაციების მიერ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის მიმდინარე წლის შეუსრულებელი გეგმა-დავალება მომავალ წელს უნდა შესრულდეს იმ გეგმა-დავალების გადამეტებით, რომელიც ამ წლისათვის არის დადგენილი.

17. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-12 მუხლის შესაბამისად საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოებსა და სამეურნეო ორგანიზაციებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით უდავო წესით გადახდებამათ მიერ შეუსრულებელ სამუშაოთა სახარჯთაღრიცხვო ღირებულების 50 პროცენტი, ხოლო მათ ხელმძღვანელებს დაეკისრებათ ჯარიმა 30-დან 50 მანეთამდე.

ამ თანხების გადახდა მათ არ ათავისუფლებს დაწესებული მოცულობის საგზაო სამუშაოთა შესრულებისაგან;

18. ფულადი სახსრები, რომლებიც კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა, საწარმოებმა და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა გადაიხადონ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის სანაცვლოდ, აგრეთვე შეუსრულებელი სამუშაოების 50 პროცენტი და ჯარიმები, რომლებიც ორგანიზაციებსა და მათ ხელმძღვანელებს დაეკისრებათ საგზაო სამუშაოებისაგან თავის არიდებისათვის, თუ დროულად არ იქნა შეტანილი და მის გადახდას გააჭიანურებენ, მაშინ იგი ამოღებულ უნდა იქნეს დადგენილი წესის მიხედვით.

19. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1959 წლის 16 მაისის ბრძანებულების მე-13 მუხლის შესაბამისად საგზაო სამუშაოებში მონაწილეობისაგან თავის არიდებისათვის გადახდვინებული ფულადი სახსრები, აგრეთვე თანხა, რომელსაც სამეურნეო ორგანიზაციები შეიტანენ საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის სანაცვლოდ (ბრძანებულების 33-ე, მე-5, მე-6 და მე-12 მუხლები) ჩარიცხავენ:

ა) რაიონებში — ადგილობრივი საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე და დაიხარჯება მხოლოდ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტზე, გარდა იმ ფულადი ასიგნებებისა, რომლებიც საგზაო სამუშაოებისათვის გათვალისწინებულია ბიუჯეტით;

ბ) რესპუბლიკის დაქვემდებარების ოთხ ქალაქში (თბილისი, ქუთაისი, რუსთავი და ფოთი) განლაგებული საწარმოები და სამეურნეო ორგანიზაციები საგზაო სამუშაოებში მონაწილეობის სანაცვლოდ შესაბამისი საქალაქო საბჭოების მიერ მათთვის მიცემული გეგმა-დავალების მიხედვით გადასახდელ თანხებს დაწესებულ ვადებში შეიტანენ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე. აღნიშნული თანხები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე გადაერიცხებათ უპირატესად იმ მაღალმთიან რაიონებს, რომლებიც ფულადი სახსრებით დახმარებას საჭიროებენ, და გამოყენებულ უნდა იქნეს მხოლოდ საავტომობილო გზების მშენებლობაზე;

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, რაიონების და ქალაქების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილებით და აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილ-



ბით სატრანსპორტო საშუალებებისა და საგზაო-სამშენებლო ტექნიკის შესადენად, აგრეთვე საგზაო ორგანიზაციების საწარმოო ბაზების განვითარებასა და საპროექტო-კვლევითი სამუშაოების ანაზღაურებაზე შეიძლება დაიხარჯოს აღნიშნული ფულადი სახსრების არა უმეტეს 25 პროცენტისა.

ამავე თანხიდან საბრუნავ სახსრებს დაწესებული ნორმატივების ფარგლებში გამოუყოფენ საქართველოს სსრ საავტომობილო გზების სამინისტროს იმ მოიჯარე საგზაო-სამშენებლო და ხიდების სამშენებლო ორგანიზაციებს, რომლებიც ასრულებენ ადგილობრივი საავტომობილო გზების მშენებლობისა და რემონტის სამუშაოებს

წლის განმავლობაში გამოუყენებელი ფულადი სახსრები, რომლებიც ჩარიცხულია საგზაო ორგანოების სპეციალურ ანგარიშზე, ინარჩუნებენ თავიანთ მიზნობრივ დანიშნულებას მომდევნო წელსაც.

36 მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების დეპუტატების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 15 სექტემბრის № 485 დადგენილებით დამტკიცებული მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის საფინანსო განყოფილების დეპუტატების მე-4 პუნქტის მეშვეობით აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„— განიხილავს და ამტკიცებს მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სამმართველოთა და განყოფილებათა განკარგულებაში არსებული სპეციალური სახსრების ხარჯთაღრიცხვებს, აგრეთვე უშუალოდ მათდამი დაქვემდებარებულ იმ დაწესებულებათა სპეციალური სახსრების კრებისთვის ხარჯთაღრიცხვებს, რომლებიც იმყოფებიან რაიონულ, საქალაქო ბიუჯეტზე, სპეციალური სახსრების მოქმედი ნუსხის საფუძველზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**

37 სოფელ ოქროყანაში მიწათსარგებლოებისა და ინფინიფიკაციური ლური საცხოვრებელი სახლების მშენებლობაში დასრულებული დარღვევებისა და ამ სოფლის ტერიტორიის თბილისის მხრობელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ სოფელ ოქროყანის გამწვანების ზოლში არის მიწების თვითნებურად დაკავებისა და საცხოვრებელი სახლების უნებართვო მშენებლობის შემთხვევები. სოფელ ოქროყანაში მცხ. ვ. ტაბატაძეს, შ. როსტიაშვილს (ქ. თბილისის მილიციის სამმართველოს მუშაკები), ვ. ხაღუაშვილს (თბილწყალსადენის მუშა) თვითნებურად დაკავებული აქვთ 5120 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი (შესაბამისად უკავიათ 1768 კვ. მ, 1672 კვ. მ, და 1680 კვ. მ) და აშენებული აქვთ საცხოვრებელი სახლები.

გამწვანების ზოლში მიწის ნაკვეთები თვითნებურად დაკავებული აქვთ აგრეთვე მოქალაქეებს: რ. სარქისოვს — 1250 კვ. მეტრი, გ. მარტიროსოვს — 1890 კვ. მეტრი, ვ. მარტიროსოვს — 672 კვ. მეტრი, ვ. ტერაძამოვს — 850 კვ. მეტრი, ვ. ფასურიშვილს — 1488 კვ. მეტრი, ა. ფასურიშვილს — 640 კვ. მეტრი და ა. შ.

გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომი, ტაბახმელის სასოფლო საბჭოს აღმასკომი და თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის სამმართველოს მწვანე მეურნეობის ტრესტი არ იღებდნენ გადამჭრელ ზომებს გამწვანების ზოლში მიწების თვითნებურად დაკავებისა და საცხოვრებელი სახლების უნებართვო მშენებლობის აღსაკვეთად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. იმასთან დაკავშირებით, რომ „ქალაქ თბილისის ახალი საზღვრების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1960 წლის 30 დეკემბრის ბრძანებულებით სოფელი ოქროყანა ქალაქ თბილისის საზღვრებში შედის, ხოლო ადმინისტრაციულად გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონულ საბჭოს ექვემდებარება, და იმის გამო, რომ ეს სოფელი ტერიტორიულად ქ. თბილისთანაა შეზრდილი, დაკმაყოფილდეს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის, აგრეთვე გარდაბნის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის შუამდგომლობა და შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ბრძანებულების პროექტი სოფელ ოქროყანის ტერიტორიის თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს ადმინისტრაციულ დაქვემდებარებაში გადაცემისა და სოფელ ოქროყანის გაუქმების შესახებ.

2. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს მიიღოს საჭირო ზომები ოქროყანის გამწვანების ზოლში თვითნებურად დაკავებული მიწების დაუყოვნებლივ ჩამორთმევისათვის; ჩამორთმეული მიწები დაუბრუნოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის კეთილმოწყობის



სამმართველოს მწვანე მეურნეობის ტრესტს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დააყენოს საკითხი იმ პირობა პასუხისმგებლობის შესახებ, რომელთაც თვითნებურად დაიკავეს მიწის ნაკვეთები და უნებართვოდ ააშენეს საცხოვრებელი სახლები.

მომავალში მტკიცე კონტროლი გაუწიონ იმას, რომ არ მოხდეს სახელმწიფო მიწების ხელყოფა და ინდივიდუალური სახლების უნებართვოდ მშენებლობის შემთხვევები.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 26 აპრილი, № 277

38 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილის ხსოვნის უკვდავოფის მიზნის შესახებ

გამოჩენილი ქართველი მეცნიერის, საქართველოში მეცნიერული გეოგრაფიის ფუძემდებლის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ალექსანდრე ნიკოლოზის ძე ჯავახიშვილის ხსოვნის უკვდავოფის მიზნით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. გორის რაიონის სოფელ ძევერის ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლას ეწოდოს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელი.
2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ გეოგრაფიულ საზოგადოებას სამწიფოში ერთხელ მიანიჭოს ალექსანდრე ჯავახიშვილის პრემია მეცნიერული გეოგრაფიის დარგის ერთ საუკეთესო ნაშრომს.
3. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სახელმწიფო უნივერსიტეტში მისთვის დამტკიცებული სასტიპენდიო ფონდიდან დაწესდეს ალექსანდრე ჯავახიშვილის სახელობის ერთი სტიპენდია, რომელიც დაენიშნება გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის წარჩინებულ სტუდენტს.
4. თბილისის შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა სახელმწიფო უნივერსიტეტმა გამოსცეს ალექსანდრე ჯავახიშვილის შრომების სრული კრებული.
5. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს თბილისის ერთ-ერთ ქუჩას უწოდოს ა. ჯავახიშვილის სახელი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1973 წ. 26 აპრილი, № 281

39 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1978 წლის 9 თებერვლის № 84 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„საპროექტო და საძიებო ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 28 მაისის № 391 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 9 თებერვლის № 84 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— მე-5 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 4 მაისის № 512 დადგენილებისა „საპროექტო ორგანიზაციების გამსხვილებისა და წვრილი საპროექტო კანტორების ლიკვიდაციის შესახებ“;

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1953 წლის 1 სექტემბრის № 1168 დადგენილება „კაპიტალური რემონტისათვის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე მომუშავე საპროექტო ორგანიზაციების მუშაკთა შრომის ანაზღაურების მოწესრიგების შესახებ“;

— მე-2 პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 19 ივლისის № 645 დადგენილებისა „საქართველოს სსრ წყალთა მეურნეობის სამინისტროს კაპიტალური სამუშაოებისა და კაპიტალური მშენებლობის სატიტულო სის 1954 წლის გეგმის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე **ზ. კიკნაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1973 წ. 26 აპრილი, № 284

40 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 იანვრის № 47 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციათა საავტორო ზედამხედველობის შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 19 იანვრის № 47 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს:

— საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1951 წლის 22 მარტის № 275 დადგენილება „მშენებლობისადმი საპროექტო ორგანიზაციათა საავტორო ზედამხედველობის განხორციელებისა და ანაზღაურების წესის შესახებ“;

— 1-ლი პუნქტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 17 ნოემბრის № 704 დადგენილებისა „სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1961 წლის 7 სექტემბრის № 820 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 27 აგვისტოს № 801 დადგენილების ძალადაკარგულად ჩათვისის შესახებ“;

— „რესპუბლიკის სეისმურ რაიონებში მშენებლობის მოწესრიგების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1970 წლის 18 სექტემბრის № 511 დადგენილების მე-6 პუნქტის პირველი აბზაცი საავტორო ზედამხედველობის განხორციელების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1973 წ. 26 აპრილი, № 285

41 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 მარტის № 137 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის შესახებ

„უმალესი სასწავლებლების სტუდენტთა და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მოსწავლეთა მატერიალური და საბინაო-საყოფაცხოვრებო პირობების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1971 წლის 18 ოქტომბრის № 755 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და ძალადაკარგულად ჩათვლის თაობაზე“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 მარტის № 137 დადგენილების შესახებ მისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს :

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1943 წლის 29 სექტემბრის № 1429 დადგენილება „უმალესი სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში სტიპენდიების ოდენობისა და დანიშნის წესის და წითელ არმიაში გაწვევისაგან სტუდენტთა განთავისუფლების შესახებ“.

2. მიღებულ იქნეს ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 5 მარტის № 137 დადგენილებით ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 10 სექტემბრის № 575 დადგენილებით დაგზავნილი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 31 ივლისის № 635 დადგენილების მე-17 პუნქტი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 9 ივლისის № 774 დადგენილების მე-3 პუნქტის მოქმედების გავრცელების ნაწილში.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი.**



42 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 ნოემბრის № 667 დადგენილების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

იმასთან დაკავშირებით, რომ № 454 და № 481 ხიდმატარებლები გაერთიანდნენ და მათ ბაზაზე შეიქმნა სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს № 39 ხიდსამშენებლო რაზმი, შეტანილ იქნეს ცვლილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1969 წლის 27 ნოემბრის № 667 დადგენილებაში და აღნიშნული დადგენილების მეხუთე აბზაცი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„109. სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს კლასგარეშე და დიდი ხიდების მშენებლობის სრულიად საკავშირო ტრესტის „მოსტოტრესტის“ № 39 ხიდსამშენებლო რაზმის საცხოვრებელი სახლები ქალაქებში თბილისსა და გორში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **შ. კიკნაძე**.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ზ. ახვლედიანი**.

ქ. თბილისი, 1973 წ. 26 აპრილი № 287

43 კოლმეურნეობაში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ

ითვალისწინებს, რა რომ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების არსებული ქსელი რესპუბლიკის კოლმეურნეობებში უმნიშვნელოა და არ შეესაბამება ამ დაწესებულებებზე კოლმეურნეთა მოთხოვნილებებს, რესპუბლიკის კოლმეურნეთა ბავშვების სკოლამდელი აღზრდის გაუმჯობესების მიზნით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 17 მარტის № 162 დადგენილების შესაბამისად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დევალთო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მის ადგილობრივ ორგანოებს:

ა) შეისწავლონ რესპუბლიკის სოფლის მოსახლეობის მოთხოვნილება სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებზე თითოეული რაიონის მიხედვით და შეიმუშაონ ღონისძიებანი კოლმეურნეობებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების შექმნისა და ქსელის გაფართოებისათვის, რათა უახლოეს წლებში მაქსიმალურად დაკმაყოფილდეს კოლმეურნეთა მოთხოვნილება ამ დაწესებულებებზე;

ბ) დააწესონ მუდმივი კონტროლი კოლმეურნეობებში სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მშენებლობის მიმდინარეობისადმი და გაუწიონ მათ საჭირო დახმარება მის განხორციელებაში;

გ) მიიღონ ზომები კოლმეურნეობებში არსებული სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი განმტკიცებისა და სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებისათვის;

დ) გააუმჯობესონ კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მომარაგება (კოლმეურნეობათა სახსრებით) საჭირო მოწყობილობით, ინვენტარით, ქურჭლით, სათამაშოებითა და სახელმძღვანელოებით სახელმწიფო სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისათვის დადგენილი ნორმების შესაბამისად.

2. დაევალოთ საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსა და სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებს:

ა) გააძლიერონ კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მეთოდოლოგიური ხელმძღვანელობა, სისტემატურად შეისწავლონ ამ მიზნით მათი მუშაობა, უზრუნველყონ ისინი თვალსაჩინოებებითა და „აღზრდის პროგრამებით“, შეიყვანონ მათი თანამშრომლები რაიონის (ქალაქის) სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მუშაკთა სექციებსა და მეთოდურ გაერთიანებებში;

ბ) აკრძალონ ბავის ასაკის და სამ.წელზე უფროსი ბავშვების ერთ ჯგუფად გაერთიანება;

გ) გააძლიერონ საქალაქო სკოლამდელთა დაწესებულებების შეფობა კოლმეურნეობების სკოლამდელთა დაწესებულებებისადმი.

3. მიზანშეწონილად ჩაითვალოს, რომ კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში პედაგოგთა კადრები დაინიშნება სახალხო განათლების ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებით და ამ მიზნით უწინარეს ყოვლისა გამოყენებულ იქნებიან თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებლის კურსდამთავრებული სპეციალისტები.

4. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ გაითვალისწინოს 1974-1975 წლებში იმ პედაგოგთა გადამზადება, რომლებიც მუშაობენ კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში.

5. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ:

ა) ქმედითი დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებს სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების ქსელის გაფართოებაში და მათთვის შენობების აგებაში;

ბ) სკოლამდელ ბავშვთა აღზრდის გაუმჯობესებისა და სკოლაში შესასვლელად მათი მომზადების მიზნით თანდათანობით გარდაქმნას კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა სეზონური დაწესებულებანი მუდმივმოქმედ დაწესებულებებად.

6. საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ გააძლიეროს კონტროლი კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებში ბავშვთა სამკურნალო-პროფილაქტიკური დახმარების ორგანიზაციისადმი, ამ დაწესებულებათა სანიტარიული მდგომარეობისა და მათში სანიტარიულ-ეპიდემი-



საწინააღმდეგო რეჟიმის დაცვისადმი, უზრუნველყოს ამ დაწესებულებების მედიცინის მუშაკთა მომზადება და კვალიფიკაციის სისტემატურად ამაღლება.

7. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინონ, მოყოლებული 1974 წლიდან, სახალხო-სამეურნეო გეგმათა პროექტებში სიჯარო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ლიმიტებისა და მატერიალურ-ტექნიკური რესურსების გამოყოფა, რაც საჭიროა კოლმეურნეობათა სახსრებით ბავა-ბალების მშენებლობის უზრუნველსაყოფად.

8. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქისა და რესპუბლიკის რაიონების მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასკომებმა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და სოფლად განლაგებული სხვა საწარმო-ორგანიზაციების თანხმობით გადაჭრან საკითხი იმის შესახებ, რომ გააერთიანონ სახსრები კოლმეურნეობათა ტერიტორიაზე სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების წილობრივი მონაწილეობით მშენებლობისათვის.

9. დაევალოს საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს უზრუნველყოს სოფლად განლაგებული სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებისათვის ავეჯის დამზადება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს განაცხადებით გათვალისწინებული ოდენობით, შესაბამისი არასაბაზრო ფონდის გამოყოფით.

10. მიღებულ იქნეს ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1973 წლის 17 მარტის № 162 დადგენილებით გათვალისწინებულთა:

ა) რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს:

დააწესონ მუდმივი ბაგების, ბავა-ბალებისა და საბავშვო ბალების სამედიცინო და პედაგოგიურ მუშაკთა (კოლმეურნეობების წევრთა) შრომის ანაზღაურება, სამუშაო დღისა და შვებულების ხანგრძლივობა იმ ოდენობითა და წესით, რაც გათვალისწინებულია შესაბამისი სახელმწიფო სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების მოცემული კატეგორიის მუშაკთათვის;

სამედიცინო და პედაგოგიური მუშაკები, რომლებიც არ არიან კოლმეურნეობათა წევრები, მიიღონ სამუშაოზე შრომითი ხელშეკრულებით;

კოლმეურნეობათა სახსრების ხარჯზე უფასოდ მისცენ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების პედაგოგიურ და სამედიცინო მუშაკებს ბინები და გაუწიონ კომუნალური მომსახურება;

ბ) გავრცელდეს კოლმეურნეობების სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებების გამგებზე, მათ აღმზრდელზე, მუსიკალურ ხელმძღვანელებსა და სამედიცინო მუშაკებზე (კოლმეურნეობათა წევრებზე), რომლებსაც აქვთ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება, სახელმწიფო საპენსიო უზრუნველყოფისა და სოციალური დაზღვევის ის პირობები, რაც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 20 ივლისის № 622 დადგენილებით გათვალისწინებულია კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების, სპეციალისტებისა და მექანიზატორებისათვის;

გ) რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს გაგზავნონ საშუალო სკოლის კურს-დამთავრებული კოლმეურნეები საბავშვო ბაგების სამედიცინო დების მოსამზადებელ კურსებზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 18 სექტემბრის № 1099 დადგენილებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად;

დ) დაწესდეს, რომ კოლმეურნეობათა ბაგებში, ბაგა-ბაღებსა და საბავშვო ბაღებში სამედიცინო და პედაგოგიურ მუშაკთა, მათ შორის კოლმეურნეობების წევრთა, სპეციალობის მიხედვით მუშაობის დრო თანამდებობრივი სარგოების ოდენობის განსაზღვრისას ჩაითვლება სპეციალობის მიხედვით მუშაობის სტაჟი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 თავმჯდომარის მოადგილე შ. კიკნაძე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
 საქმეთა მმართველი ზ. ახვლედიანი.

ქ. თბილისი, 1973 წ. 28 აპრილი № 295

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА
ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1973 года

გამომცემელი: საქართველოს სსრ იუსტიციის სამინისტრო

ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/VII-73 წ. ქალაქის ფორმატი 70×108¹/₁₆.
საბეჭდი თაბახი, 3. სააღრიცხვო თაბახი 3.

წლიური ხელმოწერის ფასი 8 მან.

